საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ"

1. ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილს საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში განსაზღვრავს:
1. საქართველოს ორგანული კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ“
2. საქართველოს კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ“
3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ,,ნორმატიული აქტების მომზადების წესის შესახებ“
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესის შესახებ“
პასუხი: *2.*

2. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამართლებრივი აქტი არის:
1. მმართველობისა ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი
2. უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი, შესასრულებლად სავალდებულო აქტი
3. უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი
4. უფლებამოსილი უმაღლესი თანამდებობის პირის ან მმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი
პასუხი: *3.*

3. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამართლებრივი აქტის სახეებია:
1. მხოლოდ ნორმატიული აქტი
2. ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი
3. მხოლოდ ინდივიდუალური აქტი
4. ყველა პასუხი სწორია
პასუხი: *2.*

4. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
1. ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი გამოყენების ქცევის ზოგად წესს

2. ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) აქტი, რომელიც შეიცავს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს
3. ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) საკანონმდებლო აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს
4. ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს
პასუხი: *4.*

5. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი:
1. მრავალჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში
2. ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში.
3. შეიძლება იყოს როგორც ერთჯერადი, ისე მრავალჯერადი და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში
4. ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს საკანონმდებლო აქტს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში
პასუხი: *2.*

6. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს:
1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა შესასრულებლად
2. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა, და სავალდებულოა შესასრულებლად
3. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად
4. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა შესასრულებლად
პასუხი: *3.*

7. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
1. კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგი. საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის

ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით
2. კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგი. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით
3. ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგი გამოიყენება მხოლოდ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად
4. ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგი გამოიყენება მხოლოდ საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად

პასუხი: *1.*
8. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმები:
1. შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით
2. არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით
3. არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა
4. შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით მხოლოდ კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად
პასუხი: *2.*

9. საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 28 დეკემბერს მიიღო საქართველოს ორგანული კანონი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მან გამოიყენა კანონის საქართველოს პრეზიდენტისათვის ხელმოსაწერად გადაცემის 7 დღიანი ვადა და, მე-7 დღედ 2013 წლის 4 იანვარი მიიჩნია. სწორია თუ არა პარლამენტის მოქმედება?
1. არ არის სწორი რადგან, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული ვადების, გარდა ნორმატიული აქტის ძალაში შესვლისათვის დადგენილი ვადისა, ათვლისას არ ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები
2. სწორია რადგან, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული ვადების, გარდა ნორმატიული აქტის ძალაში შესვლისათვის დადგენილი ვადისა, ათვლისას არ ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მხოლოდ დასვენების დღეები
3. არ არის სწორი, რადგან ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული ვადების, გარდა ნორმატიული აქტის ძალაში შესვლისათვის დადგენილი ვადისა, ათვლისას არ ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მხოლოდ დასვენების დღეები
4. სწორია, რადგან ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული ვადების, გარდა ნორმატიული აქტის ძალაში შესვლისათვის დადგენილი ვადისა, ათვლისას ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები
პასუხი: *1.*

10. : ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა:

1. საქართველოს სამართლებრივ და საქართველოს საკანონმდებლო აქტებად
2. საქართველოს სამართლებრივ და საქართველოს კანონქვემდებარე აქტებად
3. საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად
4. საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებად
პასუხი: *3.*

11. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია:
1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი
2. საქართველოს ორგანული კანონი
3. საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი
4. ყველა პასუხი სწორია
პასუხი: *4.*

12. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს:
1. არა აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ
2. აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ
3. აქვს უპირატესი იურიდიული ძალა მხოლოდ ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების მიმართ
4. არა აქვს უპირატესი იურიდიული ძალა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი აქტებისა
პასუხი: *2.*

13. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის გათვალისწინებით:
1. საქართველოს ნორმატიულ აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების მიმართ
2. საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიულ აქტს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთ ნორმატიული აქტების მიმართ
3. საქართველოს ნორმატიულ აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების მიმართ
4. ყველა პასუხი სწორია
პასუხი: *4.*

14. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტით არ შეიძლება განისაზღვროს:
1. სამოქალაქო რეესტრში შესატანი მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების ჩამონათვალი
2. იურიდიულ პირთა შექმნის პირობები და მათი საქმიანობის ზოგადი წესი
3. საკადრო საკითხები
4. სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების წესი

პასუხი: *3.*

15. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე
2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი
3. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არის კანონის ძალის მქონე პარლამენტის ნორმატიული დადგენილება, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე
4. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არის კანონის ძალის მქონე კანონქვემდებარე ნორმატიული დადგენილება, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი
პასუხი: *1.*

16. საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 16 იანვარს მიიღო საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და 7 დღის ვადაში გადასცა ის ხელმოსაწერად საქართველოს პრეზიდენტს, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტმა 10 დღის ვადაში მოაწერა ხელი და გამოაქვეყნა კანონი. სწორია თუ არა საქართველოს პარლამენტის მოქმედება?
1. არ არის სწორი, რადგან საქართველოს პარლამენტი მიღებულ კანონპროექტს 10 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს
2. არ არის სწორი, რადგან საქართველოს პარლამენტი მიღებულ კანონპროექტს 5 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს
3. სწორია, რადგან საქართველოს პარლამენტი მიღებულ კანონპროექტს 7 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს
4. არ არის სწორი, რადგან საქართველოს პარლამენტი მიღებულ კანონპროექტს 15 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს
პასუხი: *3.*

17. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს კანონის პროექტი ,,სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს. საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, მაგრამ პრეზიდენტმა 7 დღის ვადაში არ მოაწერა კანონს ხელი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ 3 დღის შემდეგ მოაწერა ხელი და გამოაქვეყნა კანონი. სწორია თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის მოქმედება?
1. არ არის სწორი, რადგან საკანონმდებლო აქტს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი

2. სწორია, რადგან, თუ საქართველოს პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, ამ ვადის გასვლიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა მას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
3. არ არის სწორი, რადგან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ხელს აწერს და აქვეყნებს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს
4. არ არის სწორი, რადგან პარლამენტის თავმჯდომარე არ არის აღჭურვილი ასეთი უფლებამოსილებით
პასუხი: *2.*

18. ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი არ გამოსცემს შემდეგ ნორმატიულ აქტს:
1. ბრძანებულებას
2. როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი – ბრძანებას
3. განკარგულებას
4. დეკრეტს
პასუხი: *3.*

19. საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება თ. ცაბუტაშვილის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ, გამოცემულია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება შესაბამისი სამართლებრივი აქტით?
1. არ არის გამოცემული, რადგან საქართველოს პრეზიდენტი არანორმატიული ხასიათის საკითხებზე მხოლოდ განკარგულებას გამოსცემს
2. გამოცემულია, რადგან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია (გამონაკლისია ბრძანებულებები, რომლებიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხებ
3. გამოცემულია, რადგან საქართველოს პრეზიდენტი არანორმატიულ საკითხებზე ბრძანებულებას მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შემთხვევაში გამოსცემს
4. არ არის გამოცემული, რადგან საქართველოს პრეზიდენტი საკადრო და პესონალურ საკითხებზე მხოლოდ ბრძანებას გამოსცემს
პასუხი: *2.*

20. ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს:
1. დეკრეტი
2. დადგენილება
3. ბრძანებულება
4. ბრძანება
პასუხი: *2.*

21. ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მინისტრის ნორმატიული აქტია:
1. დადგენილება
2. განკარგულება
3. ბრძანებულება
4. ბრძანება
პასუხი *4.*

22. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
1. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის, საკანონმდებლო წინადადების, ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი)
2. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის, ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი)
3. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს შესაბამისად საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მიერ ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი
4. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს შესაბამისად საკანონმდებლო ან ალტერნატიული წინადადების, ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი)
პასუხი: *2.*

23. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტი შეიცავს:
1. ძირითად ნაწილს
2. დასკვნით დებულებებს
3. საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე გარდამავალ დებულებებს
4. ყველა პასუხი სწორია
პასუხი: *4.*

24. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტის დასკვნითი დებულებები შეიცავს:
1. იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც ძალას კარგავს ამ ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან, აქტის ძალაში შესვლის დროს და მისი მოქმედების ვადას (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის მიღებული (გამოცემული))
2. იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომელთა მიღება (გამოცემ საჭიროა ამ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით
3. იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც მოქმედებს განსაზღვრული ვადით
4. იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც განსაზღვრავს ნორმატიული აქტის დანიშნულებასა და იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ნორმატიულ აქტს
პასუხი: *1.*

25. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტის პროექტს არ უნდა დაერთოს:
1. განმარტებითი ბარათი
2. კანონპროექტი სხვა საკანონმდებლო აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს კანონპროექტის მიღება ან რომლითაც განისაზღვრება ამ ნორმატიული აქტის ნორმათა დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა
3. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში
4. არასამთავრობო ორგანიზაციების სარეკომენდაციო ბარათი

პასუხი: *4.*

26. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
1. ნორმატიულ აქტში სხვა ნორმატიული აქტის მითითებისას უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სახე, სათაური და მხოლოდ მუხლი.
2. ნორმატიულ აქტში სხვა ნორმატიული აქტის მითითებისას უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის მუხლი, პუნქტი (ნაწილი) და ქვეპუნქტი
3. ნორმატიულ აქტში სხვა ნორმატიული აქტის მითითებისას უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სათაური, პუნქტი (ნაწილი) და ქვეპუნქტი
4. ნორმატიულ აქტში სხვა ნორმატიული აქტის მითითებისას უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სახე და სათაური, მუხლი, პუნქტი (ნაწილი) და ქვეპუნქტი, ხოლო თუ აუცილებელია – წინადადებაცხ
პასუხი: *4.*

27. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტის რეკვიზიტია:
1. ნორმატიული აქტის სახე
2. უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა
3. ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი
4. ყველა პასუხი სწორია
პასუხი: *4.*

28. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი მისი ნორმატიული აქტის პროექტს სამართლებრივი დასკვნისთვის უგზავნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, გარდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული შემთხვევებისა:
1. თუ არ არსებობს ნორმატიული აქტის დაუყოვნებლივ ამოქმედების საჭიროება
2. თუ ნორმატიული აქტი გარკვეული ვადითაა გამოცემული
3. თუ ნორმატიული აქტი შეთანხმებული არ არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან
4. თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოითხოვს ნორმატიული აქტის დაუყოვნებლივ ამოქმედებას.
პასუხი:1

29. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტზე დასკვნას საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის თაობაზე იძლევა აქტის პროექტის მისთვის გადაცემიდან 15 დღის ვადაში, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიულ აქტზე – აქტის მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტზე დასკვნას საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის თაობაზე იძლევა აქტის პროექტის მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიულ აქტზე – აქტის მისთვის გადაცემიდან 7 დღის ვადაში
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტზე დასკვნას საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის თაობაზე იძლევა

აქტის პროექტის მისთვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიულ აქტზე – აქტის მისთვის გადაცემიდან 15 დღის ვადაში
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტზე დასკვნას საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის თაობაზე იძლევა აქტის პროექტის მისთვის გადაცემიდან 20 დღის ვადაში, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიულ აქტზე – აქტის მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში
პასუხი: *2.*

30. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება:
1. საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.
2. საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისი ხელმოწერის დღე
3. საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლის დღე
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მისთვის სარეგისტრაციო კოდის მინიჭების დღე
პასუხი: *1.*

31. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება:
1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისი მესამე მოსმენით მიღების დღე
2. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე
3. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისი კენჭისყრით მიღების დღე
4. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისი გამოქვეყნების დღე
პასუხი: *3.*

32. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტის ძალაში შესვლა დაკავშირებულია:
1. ნორმატიული აქტის მიღებასთან
2. ნორმატიული აქტის გამოქვეყნებასთან
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მისთვის სარეგისტრაციო კოდის მინიჭებასთან
4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნორმატიული აქტის ხელმოწერასთან
პასუხი: *2.*

33. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
1. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით
2. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, უნდა იქნეს წარმოდგენილი დამოუკიდებელი საკანონმდებლო ინიციატივა ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ
3. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს გაერთიანებული კანონპროექტების სახით
4. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და

შესაბამისი კანონპროექტები განხილულ უნდა იქნეს ძირითადი კანონპროექტის მიღებისა და გამოქვეყნების შემდეგ
პასუხი: *1.*

34. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე – ნიშნავს:
1. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე
2. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს 20 საათზე
3. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, 24 საათზე
4. ყველა პასუხი სწორია
პასუხი: *1.*

35. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტი მოქმედებს:
1. მხოლოდ გარკვეული ვადით
2. განსაზღვრული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად ჩაითვლება
3. უვადოდ, თუ საქართველოს კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი
4. მხოლოდ უვადოდ
პასუხი: *3.*

36. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა:
1. აქვს, თუ იგი ამძიმებს პასუხისმგებლობას
2. არა აქვს
3. აქვს თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით
4. აქვს, თუ იგი ადგენს პასუხისმგებლობას
პასუხი: *3.*

37. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან რომელია სწორი?
1. იურიდიული ძალა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად
2. იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად
3. იურიდიული ძალა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს ნორმატიული აქტი მიღებული ან გამოცემული იყო გარკვეული ვადით
4. იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, თუ იგი გამოცხადებულია ძალადაკარგულად შესაბამისი აქტით
პასუხი: *2.*

38. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, „საქართველოს

საკანონმდებლო მაცნეს“ უნდა გადაეცეს და უნდა გამოქვეყნდეს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში:
1. კონტრასიგნაციის განხორციელებიდან 7 დღის ვადაში;
2. კონტრასიგნაციის განხორციელებიდან 12 დღის ვადაში;
3. კონტრასიგნაციის განხორციელებიდან 10 დღის ვადაში;
4. კონტრასიგნაციის განხორციელებიდან 5 დღის ვადაში.
პასუხი: 4

39. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად ითვლება:
1. მისი სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გამოქვეყნება.
2. მისი სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნება
3. მისი სრული ტექსტის გაზეთ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ პირველად გამოქვეყნება
4. მისი სრული ტექსტის ,,საქართველოს პარლამენტის უწყებანში“ პირველად გამოქვეყნება
პასუხი: *2.*

40. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს:
1. საქართველოს კანონის ცალკეული მუხლი;
2. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
3. საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
4. საქართველოს მინისტრის ნორმატიული აქტი მისი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.
პასუხი: 4

41. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის:
1. მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ თვით ამ ბრძანებულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.
2. ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ ბრძანებულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი
3. მიღებისთანავე
4. მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, თუ თვით ამ ბრძანებულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი
პასუხი: *2.*

42. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება ძალაში შედის:
1. მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ თვით ამ შეთანხმებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.
2. მიღებისთანავე, თუ თვით ამ შეთანხმებით სხვა ვადა არ არის დადგენილი
3. ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ შეთანხმებით სხვა ვადა არ არის დადგენილი
4. მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, თუ თვით ამ შეთანხმებით სხვა ვადა არ არის დადგენილი
პასუხი: *3.*

43. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ბრძანება ძალაში შედის:
1. მიღებისთანავე, თუ თვით ამ ბრძანებით სხვა ვადა არ არის დადგენილი
2. მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, თუ თვით ამ ბრძანებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.
3. მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ თვით ამ ბრძანებით სხვა ვადა არ არის დადგენილი
4. ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ ბრძანებით სხვა ვადა არ არის დადგენილი
პასუხი: *3.*

44. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „საიდუმლო“ გრიფის მქონე ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის ასეთივე გრიფის მქონე ნაწილი ძალაში შედის:
1. ხელმოწერისთანავე, თუ თვით ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი
2. საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში შეტანისთანავე, თუ თვით ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი
3. საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში შეტანის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ საიდუმლო კოდის მინიჭებისთანავე
4. საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში შეტანიდან მეორე დღეს
პასუხი: *2.*

45. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს დეკრეტს წარუდგენს გამოცემიდან:
1. 24 საათის განმავლობაში
2. 48 საათის განმავლობაში
3. 3 დღის განმავლობაში
4. 12 საათის განმავლობაში
პასუხი *2.*